სამშაბათი, 31 აგვისტო, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 სამშაბათი, 31 აგვისტო, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12 თვით . .	10 მ.	— კ.
11 ,, . .	9 ,,	50 ,,
10 ,, . .	8 ,,	75 ,,
9 ,, . .	8 ,,	— ,,
8 ,, . .	7 ,,	25 ,,
7 ,, . .	6 ,,	50 ,,
6 ,, . .	6 ,,	— ,,
5 ,, . .	5 ,,	50 ,,
4 ,, . .	4 ,,	75 ,,
3 ,, . .	3 ,,	50 ,,
2 ,, . .	2 ,,	75 ,,
1 ,, . .	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 201 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 201

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 2 „ 25 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბურთალოში:—პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები.	15 კაპ.
რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა	20 ,,
რაშია ბედნიერება, ისე რაჭველისა	10 ,,
სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . .	10 ,,
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . .	7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—23).

მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

ქართულ თეატრის დამხმარებელ

ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—5.

სამეურნეო სკოლაში, დაარსებულს 4 სეკდემბრის 1883 წელსა, სოფელ წინამძღვრიანთ-კარში, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, პირველ სეკდემბერის ამა წლისას, გამოცდის შემდეგ, მიიღებენ მოსწავლეთ პირველ სპეციალურ კლასში; მოსწავლენი უნდა იყვნენ ჯანმრთელნი, 13-14 წლისანი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სპეციალური კლასები სამეურნეო სკოლისა, სწავლა და ვარჯიშობა სამი წელია: ორ წელიწადს მოსწავლენი შეისწავლიან სამეურნეო სწავლას თეორეთიკიულად და ვარჯიშობით, მესამე წელს მარტოდ-მარტო ვარჯიშობით სამეურნეო ცოდნის იმ დარგს, რომელსაც თვით მოსწავლენი ამოირჩევენ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სკოლისათვის, კავკავში,

საჭიროა

მასწავლებელი ქალი

ჯამაგირი ექმნება წლიურად 300 მან. (უბინაოდ). თუ მასწავლებელი იკისრებს ხელ-საქმე ასწავლოს მოსწავლე ქალებს, მიეცემა კიდევ ზედმეტად 60 მან. მსურველთ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, (Тифлисъ, Общество грамотности). (3—3)

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა ახალი

კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნიკ. ლომაურისა.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотносги.

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—2).

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები; დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 მარიამობის თვემდინ.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს აზნაურობის, წლოვანობის და ყვავილის აცრის მოწმობები. ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 მარიამობის თვეს.

ხელმეორე გამოცდა, რომელიც მაისში დაერიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 მარიამობის თვეს.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

(3—6—3)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

ა. ი. ბალარჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ტყეშელაშვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

ვრ. ვ. სოგოლევსკი — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ყორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს—67 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩნაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოოზის ასული ზაალიშვილისა, მიხეილის პროსპექტი, № 145.

დიასამიძე ალექსანდრე,—დორისმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

მ. ს. ელვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

ლიაოიანის ბრძოლა.—იაპონიის ეკონომიური მდგომარეობა.—ზავის უარყოფა.—წვრილი ცნობები.—ომის სურათი.

«იტალიის ჟურნალი» ამბობს, სწორედ სასწაულად უნდა ჩაითვალოს ისტორიაში უმაგალითო ამბავი, რომ რუსები და იაპონელები განუწყვეტლივ იბრძვიან და იმავე დროს დღე და ღამე გადად-გადმოდიან ორის კვირის განმავლობაში. გაზეთი ამბობს, ორსავე მხარეს მეომრებმა ისეთი გულადობა და მამაცობა გამოიჩინეს, რომ ღირსეულად ქების შესხმა შეუძლებელიაო. (რ. ვ.).

—

«ლოკალ ანცეიგერ» იუწყება, რუსის ჯარმა მრავალი ზარბაზანი დასტოვა ლიაოიანში. ორივე მხარე მოღლილ-მოქანცულია ხანგრძლივის ბრძოლითა და სასმელ-საჭმელის უქონლობით. როგორც რუსებს, ისე იაპონელებს ბრძოლის დროს ორ დღესა და ღამეს საჭმელი ვერ მიაწოდეს. წვიმა-ავდარმა ისე გააფუჭა გზები, რომ ორივე მხარე ზაზბაზნებს უპატრონოდ სტოვებდა. ტოკიოში დარწმუნებულნი არიან, რომ ტელინის ულელტეხილამდე, რომელიც 64 ვერსით არის დაშორებული მუკდენზე, რუსები წინააღმდეგობას ველარ გაგვიწევენო. (რ. ვ.).

—

«პტი პარიჟისა» იუწყება, გენერალ შტაკელბერგმა, რომლის ჯათი ხუთს დღეს განუწყვეტლივ იბრძოდა და დიდად დაზიანდა, კარგა ვერ გაიგო ბრძანება და იმის მაგიერ, რომ დასავლეთისკენ დაეწია, სადაც რუსის ჯარი ბლომად იყო, აღმოსავლეთისკენ დაიწია. ამ გარემოებამ შიში დაბადა, ვაი თუ შტაკელბერგის კორპუსი ოკუს ლაშქარმა მოიმწყვდიოსო. (რ. ვ.).

—

ტოკიოდგან სწერენ ლონდონის გაზეთებს, იაპონიის სატახტო ქალაქი ალტაცებით მიეგება ლიაოიანის აღების ამბავს. პარასკევს, როდესაც ეს ამბავი მოვიდა საღამომდე ხალხი მხიარულობდა და ჯგუფ-ჯგუფად ქუჩებში დადიოდა. სტუდენტები, მოხელეები, ქალი და კაცი იმ ღამეს ფერად-ფერად ქაღალდის ფარნებითა და ბაირაღებით დასეირნობდა. ფარნებსა და ბაირაღებზე დახატული იყო ლიაოიანის ომის სურათები. მრავალი დასი მემუსიკეებისა ნაციონალურ სიმღერებს უკრავდა, ხოლო ათი-ათასი და ასი ათასი საყვირი მანიფესტანტებისა მუსიკასაც კი ახშობდა. (პ. ვ.).

—

ოფიციალურის ცნობებით, წელს იაპონიაში ბევრად უკეთესი მოსავალია ბრინჯისა, ვიდრე შარშან. შარშან 41 მილიონისა იყო და წელს 8½ მილიომეტს მოელიან.

იაპონიის ფინანსიური მდგომარეობაც იმდენად კარგია, რომ მთავრობა ჰბედავს ახალი ფასიანი ბილეთები გამოსცეს 10 მილიონ იენისა. საფოსტო-შემნახველ კასსებში წელს 4 სეკდემბრადე 4 მილიონ იენით მეტი შეუტანიათ შესაწირად, ვიდრე შარშან.

—

«მატენის» თანამშრომელს იაპონიის საელჩოს მდივან ნაგაოკთან უბაასნია. ნაგაოკს თავისი აზრი გამოუთქვამს ომის შესახებ. იაპონიის გამარჯვება იმით აიხსნება, რომ იაპონიის აფიცრები და დაბალი ჯარის კაცები უკეთესად არიან შემზადებული, ვიდრე რუსებსაო. გენერალი კუროპატკინი თავის ლაშქარს ვერ შეაგროვებს ვერც მუკდენსა და ვერც ხარბინშიო. იაპონელები ხარბინზედაც გაილაშქრებენ და იქ გადასწყდება ომი, ხოლო ეს გაზაფხულამდე არ მოხერხდებაო. იაპონია ზედი-ზედ დაამარცხებს რუსეთს,

ხოლო ზავზე არ ჩამოაგდებს სიტყვას, ვიდრე თვით რუსეთი არ გამოელაპარაკებაო.

იმავე თანამშრომელს ერთ რუსთანაც ულაპარაკნია, რომელმაც კარგად იცის რუსეთის სურვილი და საქმეთა ვითარება. რუსეთი არც თვითონ აღძრავს ლაპარაკს მორიგების შესახებ და არც სხვის შუამავლობას მიიღებს,—უთქვამს რუსს,—შუამავლობა მოკავშირე და თანამგრძნობელ დიდმა სახელმწიფომ რომ ინდომოსო. ასე აქვს მტკიცედ გადაწყვეტილი რუსეთის მთავრობას და თვით ერის თავმოყვარეობაც ამას ითხოვსო. (რ. ვ.).

—

ნიუ-იორკიდგან იუწყებიან, ვითომც რუსეთს მრავალი ახალი სამხედრო გემი შეუკვეთნია ამერიკაში. გემების ამგებ ამხანაგობის დირექტორი ნიკსონი რუსეთს ყოფილა და ამერიკას დაბრუნებულა. ის ამბობს, რუსეთის წყალობით, გემების აგების საქმე კვალად აღორძინდება ამერიკაშიო. ინგლისელებს რუსეთი აღარ შეუკვეთს გემების აგებას, რადგან ინგლისელები მტრულად ეპყრობიან რუსებსაო. (რუს.).

—

„ბერლინის ლოკალანცეიგერს“ დეპეშა მისვლია ლონდონიდგან, იაპონელებს 45,000 მეომარი გადაჰყავთ პორტ-არტურთან, რომ იქაური ჯარი გააძლიერონ, რომელიც უკანასკნელ იერიშების დროს დიდად დაზიანდა. პორტ-არტურში რუსებს 11,000 კაცი-ღა ჰყავთ საღი, რომელთაც იარაღის ხმარება შეუძლიანთო (რ. ვ.)

—

ფრანგულ გაზეთ «ჟურნალს» შემდეგი დეპეშა მიუღია თავის კორესპონდენტისაგან იანტაიდგან: მომეტებული ნაწილი სამხედრო მასალისა და სურსათისა რუსებმა გაზიდეს ლიაოიანიდან, 500 დატვირთულ ვაგონმა იმ დროს გაიარა, როდესაც იაპონელები რკინის გზას ყუმბარებს ესროდნენ. საშინელი ბრძოლა და სისხლის ღვრა იყო. თხრილები მოკლულ იაპონელებით ავსილიყო. ყუმბარები საავადმყოფოებთან და სამკურნალოებთან ეცემოდა და სკდებოდა. ტყვია სეტყვასავით ედებოდა დაჭრილთა საწოლებს, სათნოიან დებსა, ექიმებსა და სანიტარებს, რომლებიც მაინც ავადმყოფებს თავს არ ანებებდნენ. რუსები საოცრად იბრძოდნენ. იაპონელების ფანატიზმს რუსების შეურყეველი სიმტკიცე ეწინააღმდეგებოდა.

გაზეთები ამბობენ, იაპონელებს არ გაუმართლდათ იმედი და გენერალ კუროპატკინს ალყა ვერ შემოარტყესო. ეხლა საქმე იმაზეა დამოკიდებული, ვინ უფრო ჩქარა მივა მუკდენს. იაპონელები მეტად დაიქანცნენ 12 დღის სიარულითა და ბრძოლით და რუსებს ვეღარ გაუსწრობენ. (ზ. ვ.).

—

პარიჟის ექოს ატყობინებენ: 18 აგვისტოს, საღამოთი, 6 საათზე, კუროკის ბატარეამ ყუმბარა მოარტყა გენერალ კუროპატკინის მატარებლის ბოლო ვაგონს, რომელშიაც ტელეგრაფი იყო და აპარატები სულ დაამსხვრია. ამის გამო ირკუტსკიდგან ლიაოიანს გაგზავნილ დეპეშაზე პასუხი არავინ გასცა. შემდეგ შეეხმაურნენ ხარბინიდგან და მუკდენიდგან. იქაც პასუხი ვერ მიიღეს. იფიქრეს, ვაი, თუ იაპონელებმა ტელეგრაფი გააფუჭესო. გაიმართა მითქმა-მოთქმა და გადასწყვიტეს, ალბად იაპონელებმა რუსის ლაშქარს გზა გადუჭრესო. ტელეგრაფის მოხელეებმა სახელდახელო სადგური გამართეს ლიაოიანის ჩრდილოეთად, 8 ვერსის მოშორებით, და მოქმედება მალე დაიწყეს. დამსხვრეულ სატელეგრაფო ვაგონის უფროსი მოხელე ვისსე ანუ მისი კვალი აქამომდე ვერ უპოვიათ.

—

ზოგს გერმანულს გაზეთს გენერალ-კუროპატკინის უკან დაწევა დამარცხებად მიაჩნია. «ლოკალანცეიგერი» ამბობს: რუსებმა ლიაოიანი დასცალეს, ციმბირის პირველ კორპუსს გზა გადაჭრილი აქვს, მუკდენის გზა კუროკის შეუკრავს, რომელიც მაღლობებზე არის დაბანაკებული. ამ გაზეთის სამხედრო მიმომხილველი-კი ამბობს, აქ დამარცხებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან რუსის ჯარი მტერს არ დამორჩილებია, იაპონელებმა გზა ვერ შეუკრეს და ალყა ვერ შემოარტყესო. მეორეს მხრივ-კი ცხადია, რომ კუროპატკინმა ვერ განახორციელა თვისი სურვილი—ბრძოლა შესწყვიტოს და თავის ჯარი მწყობრად მუკდენს წაიყვანოს. რამდენიმე სიმაგრე იმას ბრძოლით წაართვეს იაპონელებმა, უკან დაწევაც უთავბოლოდ იყო და თავზარ დაცემულთა ლტოლვას ემგზავსებოდა. რუსების სიმამაცემ და სათადარიგო ჯარის მოსწრებულ მოქმედებამ იაპონელებს დიდი ზიანი მიაყენეს. იმათ აღარ შეუძლიანთ რუსის ჯარს გზა გადაუჭრან. თუ რომ გენერალ კუროპატკინს ახალი შესვენებული ჯარი ჰყავს, შეუძლიან კუროკის დაქანცული ჯარი შეაყენოს.

«ბერლინის ტაგბლატი» უფრო მკვახედ ლაპარაკობს: ლიაოიანის ბრძოლის შედეგი რუსეთის სახელის დამხობაა შორეულს აღმოსავლეთში და რუსეთის გათახსირებააო. ვიდრე რუსეთი ძალ-ღონეს მოიკრებდეს, იაპონია გაბატონდება კიდეც კორეასა და სამხრეთ-მანჯურიაშიო. აღმოსავლეთად თავი იჩინა ახალმა დიდყვითელმა სახელმწიფომ, რომელსაც მეტის რიდითა და თავაზით უნდა ვეპყრობოდეთ, ვიდრე აქამომდეო.

«დეილი ნიუსის» სამხედრო კორესპოდენტი ამბობს, იაპონელებს გამარჯვება მეტად ძვირად დაუჯდათ. გენერალ კუროპატკინის მდგომარეობა ეხლა სახარბიელო არ არის. გენერალი კუროპატკინი მუკდენში არ გაჩერდება, რადგან გამაგრება არ შეიძლება, და ხარბინისკენ გასწევსო (ნოვ.)

„ბერლინის ტაგებლატის“ კორესპონდენტი იწერება:

ბრძოლა ლიაოიანთან მხოლოდ მესამე დღეს გადაწყდა იაპონელების გამარჯვებით, როდესაც ოქუსა და ნოძუს შეერთებული ლაშქრები რუსებს დაეცნენ. დიდის სისხლის ღვრის შემდეგ იაპონელებმა რუსის მარჯვენა ფრთა უკან დასწიეს და მავტუნსა და ხსილინტუნს შუა გადააგდეს. ამის გამო რუსები იძულებულ შეიქმნენ ლიაოიანის სამხრეთად ყველა სიმაგრეები მიეტოვებინათ. ამ დროს კუროკიმ ორი სახელდახელო ხიდი გასდო მდინარე ტაიციხეზე, ორი სათადარიგო ბრიგადა გადაიყვანა და ჩრდილოეთისკენ გაგზავნა. სამს დღეს სამს ლაშქარს 19,000 მეომარი დააკლდა. მეტადრე ბევრი დაზიანდა მეორე დღეს ლიაოიანთან... დანაკარგი დიდი უნდა იყოს, რადგან მე-7 და მე-8 სათადარიგო დივიზიებსაც ჰგზავნიან იაპონიიდგან მანჯურიისკენ.

—

იაპონელების მეოთხე ლაშქარი, გენერალ ნოგის უფროსობით, ყოველ დღე თანდათან უახლოვდება პორტ-არტურს. იაპონელებმა 600 ზარბაზანი შემოუმწკრივეს ციხეს და განუწყვეტლივ ესვრიან. (რ. ვ.).

—

ლონდონის გაზეთებში აწერილია რუსის ლაშქრის უკუქცევის ამბავი. სხვათა შორის, სწერია: მდინარე ტაიძიხეში მრავალი ცხენი დაიღუპა. დამხვრჩვალი ცხენები მდინარეს ერთს ადგილს შეეჯგუფნა, თითქო ხიდიაო გადებული. რუსის ჯარის კაცები ეცნენ ამ უცნაურ ხიდს და მეორე ნაპირს გადარბოდნენ. ხიდმა ვეღარ გაუძლო, ერთბაშად გაირღვა და მრავალი ჯარის კაცი მდინარეში ჩაცვივდა. (რ. ვ.).

—

ომის სურათი.

(ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკოს წერილიდგან „რუსსკ. სლოვ.“)

დაშიცაოდან რომ უკან დავიწიეთ, მტერი გაოცდა და პირველ ხანს უმოძრაოდ იდგა. ამბობენ, თითონ აპირობდა აშლასა და უკან დაწევას. როცა ჩვენ მოვდიოდით, ინკოუს ბოლი ასდიოდა. ამ დღეებში შეიძლებოდა საწყობები სულ დაგვეცალა და აქეთ გამოგვეგზავნა. ახალგაზდა კომენდანტი ვაგონებსა თხოულობდა, მაგრამ ჩვენის რკინის გზის მოქმედება ამ ომის უკიდურეს მხარეთაგანია. ვაგონები ცარიელი იყო, და იმას კი არ დაუთმეს... ამის შედეგი ის იყო, რაც ამისთანა შემთხვევაში წინადაც მომხდარა, ე. ი. საინტენდანტო საწყობებს ცეცხლს ვუკიდებთ ვწვამთ, ვანადგურებთ. ვწვამთ პურითა და ქერით გატენილ საწყობებს, და ამ დღეებში კი ერთი რაზმი სულ მშიერი იყო, რადგან ფქვილი არ მიეცათ, რადგან ფორმალური წესი უნდა შესრულოთო: ქაღალდს ბეჭედი არ აზისო...

დაშიცაოსთან ისეთი აფიცერიც-კი გამოჩნდა (სათადარიგო ჯარისა), რომელმაც ბრძოლის დროს ზარბაზნების ტყვია-ყუმბარა არ დაანება საწყობიდგან, რადგან ფორმალურად არ სთხოვეს. სწორედ კაი დრო უპოვიათ ფორმების შესასრულებლად...

დაშიცაოდგან რომ გამოვდიოდი, ცეცხლის ალი ენებსავით გარს ევლებოდა ფქვილის ტომრებს; ქვა-ნახშირის მთას შავი კორიანტელი ასდიოდა და ცის კამარას ჰვარტლავდა,

ოჰ, რარიგ მეჯავრება ეს ცის კამარა აქ ამ ჟამად! ქვემოდ საშინელებაა უაღრესი უსამართლობა, უდანაშაულო ხალხი ასობითა და ათასობით იტანჯება და იჟლიტება; ის კი წინანდებურად საზიზღარ-ლამაზია და მისი მორთულობა, უგულო ბუნების-მიერ სამარადისოდ განწყობილ დღესასწაულს გაგონებთ...

— აბა, ვაგონი რომ მოეცათ, ამას სულ წავიღებდით,—მაინც ხომ სულ ცალიერები გაუჩერებიათ.

პოდპოლკოვნიკი სფირიდონოვი გვითითებს მთებივით ამართულ ფქვილისა და ქერის ტომრებისკენ.

— ხაზინის ქონება... რავდენი შრომა და ჯაფაა ჩაყრილი.

— ჩვენ მილიონზე მეტი დავწვით კიდეც,—ამბობს იქ მდგომთაგანი.

— დაშიცაოდგანაც სულ წამოვიღებდით.

— ინკოუდგანაც.

— ვაფანგოუდგანაც...

— ამას რაღა უნდა ვუყოთ?

— 17 ცეცხლის მსხვერპლია!

— ბ-ნო პოლკოვნიკო!

სფირიდონოვი მიტრიალდა.

— ამ ფქვილს რა ვუყოთ?

— ამას? უჩვენებს რკინის გზასთან დაყრილ ტომრებს.

— არა. იქ რომ არის. მე მაბარია.

— ბევრია?

— ოცდა რვა ათასი ფუთი.

— ოცდა რვა ათასი ფუთი.

— ხომ ხედავთ, წაღება არ შეგვიძლიან?

— მაშ, დავწვათ?

სფირიდონოვი მხარს იწევს...

სევდა გაწვება. რა რიგად გვჭირდება ეს ქერი!.. ცხენებს ფერდი ფერდს ეკვრით, არ აჭმევდნენ, ქერსა ზოგავდნენ და ეხლა უნდა დასწვან. იაპონელებისთვის ხომ არ დაუმზადებიათ. ეს მართალია, მაგრამ რატომ არ ურიგებდნენ, როცა თხოულობდნენ. რავდენ ჯოგს ეყოფოდა იმდენი ქერი...

მატარებელი დაიძრა...

საწყობებს ცეცხლი წაუკიდეს, ჯერ ერთს, მერე მეორეს, ახლა მესამეს... მთლად გაიბოლა არე-მარე და ჩამამავალი მზე სისხლის ფრად შეიღება...

ტფილისი

დღეს, 31 აგვისტოს, ნავთლუღის წმ. ბარბარეს ეკლესიის გალავანში დაასაფლავებენ ახლად გარდაცვალებულის ტფ. კომენდანტის გენერალ-ლეიტენანტის ი. ნ. რეიტერის გვამს. დასაფლავებამდე, დილის 8 საათზედ, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში წირვას გადაუხდიან განსვენებულს და ანდერძს აუგებენ.

⁂ დღეს, სამშაბათს, 31 აგვისტოს, ქართულ თეატრის დარბაზში, დანიშნულია პირველი კრება ქართულ თეატრის დამხმარებელ ამხანაგობისა. განსახილველი საგნები: 1) განხილვა და დამტკიცება საამხანაგო ხელ-შეკრულობისა; 2) განხილვა და დამტკიცება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვისა; 3) არჩევა კომიტეტის წევრთა (5 კაცი); 4) არჩევა სარევიზიო კომისიისა (3 კაცი); 5) არჩევა სარეპერტუარო კომისიისა (3 კაცი). კრება დაიწყება 8 საათზე.

⁂ ზეგ, 2 სეკდემბერს, ტფილისში მოელიან სახელმწიფო კონტროლერს, ინფანტერიის გენერალს პ. ლ. ლობკოს.

⁂ როგორც «ცნობ. ფურცელს» გაუგია, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად არჩეული ბ-ნი ივ. რატიშვილი უკვე დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანამდებობის აღმასრულებელს.

⁂ როგორც «ბაკინ. იზ.»-ა იუწყება, 28 აგვისტოს ბაქოში საეჭვო სენით ავად გამხდარა გიულ-მამედ-ოღლი; ჰფიქრობენ, რომ ხოლერით უნდა იყოს ავად.

⁂ როგორც ტფილისის სახაზინო პალატამ განმარტა, უმაღლეს მანიფესტის ძალით, ბინის პატრონებს ეპატიებათ მხოლოდ ჯარიმა, დადებული სახელმწიფო სადგომის გადასახადის (**кварт. налогъ**) დროზე შეუტანლობის გამო. ამავე გადასახადის დარჩენილი ფული (ნედოიმკა) კი არავის ეპატივება.

⁂ როგორც იმავე გაზეთს გაუგია, ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის მასწავლებელი ს. ი. ოცხელი ქუთაისში კერძო გიმნაზიის დაარსებას აპირებს. ბ-ნმა ოცხელმა ტფილისში სამსახურს უკვე დაანება თავი.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ზამთრის რიგით მატარებლების მიმოსვლა დაიწყება 15 სეკდემბერს.

⁂ ხუთშაბათს 2 სეკდემბერს, კრება ექმნება მოქალაქეთა საზოგადოების რწმუნებულთ. კრებაზედ, სხვათა-შორის, განიხილავენ განსაკუთრებულ კომისიის მოხსენებას მოქალაქეთა საზოგადოების ხარჯით „ალექსის“ სახელობის სკოლის დაარსების თაობაზედ.

⁂ 29 აგვისტოს ტფილისის საკონტროლო პალატის გამგემ, რევიზორებთან

ფელეტონი

—

ყიზილბაშური.

(ველიჩკოდგან).

თვალი დაუდგეს ქართველ კაცს,
სპარსეთის მოტრფიალესა!
ვერ ჰხედავს, მის დასაკლავად,
რომ მან მახვილი გალესა?

—

სომხებს რომ უყეფს, იმავ დროს
კუდს უქიცინებს ქართველსა,
მაგრამ ორივეს თანსწორად
ანთხევს საწამლავ—ნაღველსა.

—

ცბიერს სომეხიც, ქართველიც
ორივე ფეხზე ჰკიდია!
იმისი „მუცლის ტკივილი“
სხვა გვარი „გზა და ხიდია“.

—

ტკბილად იმღერის, როდესაც
გვიჭედავს ბორკილ-რკინებსა
და ქვეშ-ქვეშურად მხარს აძლევს
ბატი-ბუტ-ბუტი... რკინებსა.

—

მაგრამ გულ-წრფელი ქართველი
განა მიხვდება ამასა?
როცა არ სტორავს, დათვსაც კი
ეძახის «კეთილ მამასა»!

აკაკი.

მეზობლები.

დრამა ოთხ მოქმედებად.

(შემდეგი *)

გამოსვლა მეექვსე.

ტასო. (შემოდის ტასო. იმის შემოსვლაზე ლუარსაბი წამოდგება). აჰა! ისინი გაჰქრნენ უკვე?

ლუა. დიაღ, სტუმრები წავიდნენ და თქვენები კი ბაღში არიან. დაბრძანდით... (ჯდება მაგიდასთან, ლუაც მის პირდაპირ დაჯდება). ნებას მიბოძებთ, სიგარა მოვწიო?

ტასო. ინებეთ, ინებეთ. (ისიც სიგარას გააჩაღებს).

ლუა. რა წიგნსა ჰკითხულობთ ასე გაცხარებით გუშინ და დღეს.

ტასო. ნიცშეს ფილოსოფიას.

ლუა. ოჰო, ბრავო, ბრავო! წიგნებს სად შოულობთ?

ტასო. ჩემი ძმის მდიდარი ბიბლიოთეკა მთელ კავკასიას გაანათლებს.

ლუარ. დიაღ, მახსოვს რომ ირაკლის კარგი წიგნების შეძენაში სული მისდიოდა.

ტასო. ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ შეუმწიკვლელი იყო წყეულ ცხოვრებისაგან.

ლუარ. როგორ, ბატონო, განა ეხლა თითონ არ სარგებლობს?

ტასო. ეჰ! კარგა ხანია ყველაფერს თავი დაუკრა. წიგნებისა და პატიოსანი ხალხის ნაცვლად ჯაშუში სუთიძისთანა და ჩარჩი ბილლერისთანა კაცუნები გამხდარან მისი მეგობრები. ესეც განათლება და განათლებული კაცები!

ლუა. უნდა მოგახსენოთ, პატივცემულო კნიაჟნა, რომ ძალიან სასტიკი კრიტიკოსი ბრძანებულხართ. ყველანი ბილლერ-სუთიძეები როდი არიან.

ტასო. რა თქმა უნდა, ყველანი არა. კარგებიც არიან ყველგან, ისინიც რომ არ იყვნენ, მაშინ სრულიად არ ეცხოვრებოდა უბედურ ადამიანს ამ ქვეყნად.

ლუა. კნიაჟნა! დღევანდელმა თქვენმა გმირობამ აღტაცებაში მომიყვანა და ამისთვის, ნება მიბოძეთ, უმდაბლესად თაყვანი გცეთ ბეჩავი ხალხის გამოქომაგებისათვის.

ტასო. გმადლობთ, მაგრამ პატარა საყვედურის ღირსი თქვენცა ხართ.

ლუარსაბ. მე, ბატონო, საყვედური? მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმე, მიბრძანეთ, და მზადა ვარ, ეხლავე ბოდიში მოვიხადო.

ტასო. რად მიეცით ნება ჩემ ძმასა და რძალს აგეთი საზიზღარი განკარგულება მოეხდინათ. რით ავხსნა თქვენი საქციელი, ბატონო ლუარსაბ, რით? თქვენისთანა განათლებული კაცის წინაშე ასეთი შემაძრწუნებელი სცენები ხდება და ისიც ამხანაგი კაცის ოჯახში და თქვენ გულ-ხელ დაკრეფილი ყოყოველსავე გულგრილად შეჰყურებთ, თუ ეს ასეა, მაშინ თქვენი თანაგრძნობა და ჩემის საქციელის გამო აღტაცება ლიტონი სიტყვებია მხოლოდ.

ლუა. ვიცოდი ამას მეტყოდით, ანასტასია დიმიტრის ასულო! განა თქვენ გჯერათ, მე ხმას არ ამოვიღებდი, თქვენ რომ არ გამოსარჩლებოდით ხალხის ინტერესებს? მართალია, მე გაჩუმებული ვიყავი, მაგრამ იმ დროსვე ღრმად ვიყავ დარწმუნებული, რომ აქ, ფეოდალთა სამფლობელოში არის ერთი მხსნელი ანგელოზი, რომელიც დარაჯად უდგას აქ გამეფებულ უკუღმართობას. ვფიქრობდი და აღსრულდა კიდეც. იმ შემთხვევაში, თუ კი ეს ასე არ მოჰხდებოდა, მე, ინჟენერი ლუარსაბ გელოვანიძე, ავმხედრდებოდი იმათ წინააღმდეგ, რასაც თქვენც დაინახავდით. ეს არის და ეს. გინდათ დაიჯერეთ, გინდათ ნუ, რა მენაღვლება! ჩემის სვინიდისის წინაშე მართალი ვარ და!

ტასო. ღმერთმა ჰქმნას, მე ვსცდებოდე.

ლუარსაბ. დიაღ, სცდებით, და გისურვებთ ძაგ წმინდა რწმენას შერჩენოდეთ ბოლომდე. ჰო, მართლა ეს ორი ახირებული ტიპი ხომ გავიცანი—სუთიძე და ბილლერი, რომლებიც მართლაც ძლიერ სულმდაბალი ხალხი აღმოჩნდა. ეხლა კი მესამეზე გადავიდეთ.

ტასო. ვინ არის ეს მესამე?

ლუარ.საბ. მაგაზედ უფრო მხსვილი.

ტასო. სახელდობრ.

ლუარსაბ. თქვენი მეზობელი მენაბდიშვილი (გამომცდელის თვალებით შეაცქერდება).

ტასო. მენაბდიშვილი?

ლუარსაბ. დიაღ. მე დარწმუნებული ვარ, თქვენ იმას პატივსა სცემთ.

ტასო. დიაღ, პატივსა ვსცემ.

ლუარსაბ. (ტუჩებზედ იკბენს.) მეც მაგ აზრისა ვარ. როგორც იდეის კაცი, ღირსია ქებისა და, მიუხედავად იმისა, რომ პრინციპიალური მოწინააღმდეგეა თქვენი ძმა-რძლისა, იმედია, მაინც კარგის აზრისა იქნებით იმაზედ.

ტასო. აკი მოგახსენეთ, პატივსა ვცემ მეთქი.

ლუარსაბ. დიდი ხანია, რაც დაუახლოვდით?

ტასო. (წამოდგება, სახეზედ ემჩნევა, რომ ერიდება იმაზე ლაპარაკს.) მე ვიცნობ მხოლოდ მის საქმეებს. და ესეც რომ არ იყოს, ჩვენის ოჯახის მტერია და მის გასაცნობად ეგეც საკმარისია.

ლუარსაბ. როგორ, ბატონო?

ტასო. ისე... ის, ვინც ჩვენ და ჩვენს ფუქსავატ ცხოვრებას ემტერება, ყველა კარგი ადამიანი აღმოჩნდა. უკაცრავად, უნდა გიახლოთ (შუბლზედ მიიდებს ხელს.) რაღაც შეუძლოთა ვარ. შემდეგ განვაგრძოთ (გადის).

გამოსვლა მეშვიდე.

კატო. (შემოდის.) Ну! ვაჟია თუ ქალი?

ლუარსაბ. სხვა დროსათვის გადავდე.

კატო. შეგაშინა უკვე?

ლუარსაბ. კი არ შემაშინა, მხოლოდ ჯერ ფაქტი უნდა შევამოწმოთ საბოლოვოთ.

---

*) იხ. ივერ. № 199.

ერთად, მოახდინა რევიზია სახელმწიფო ბანკში.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 27 აგვისტოს დაამთავრა ქალაქის 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. სხვათა შორის, დიდუბის ქალაქის სასწავლებლისათვის შენობის ასაგებად ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქმნა 15,000 მან. სოლოლაკის სკოლისა—20,000 მან., სახელოსნო სასწავლებლის შესანახად—2100 მან., ქალაქის სასწავლებლებში პარალელურ განყოფილებათა გასახსნელად—6949 მან. და სხვა.

⁂ ამ უკანასკნელ სამ-ოთხს დღეში ტფილისში საგრძნობლად აცივდა.

⁂ 26 აგვისტოს სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც ვაკეს შემოერთების საქმე აქვს მინდობილი. კომისიამ თავმჯდომარედ აარჩია თავ. გ. მ. თუმანოვი, ხოლო გუშინ კომისიამ ვაკე დაათვალიერა. მეორედ დათვალიერების დროს, სეკდემბრის პირველ რიცხვებში, მოიწვევს საკავად-აზნაურო სკოლისა, კადეტთა კორპუსისა და სემინარიის წარმომადგენლებს და აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთ მოსალაპარაკებლად და იმის გასაგებად, მცხოვრებნი რას გაიღებენ ვაკეს მოსაწესრიგებლად.

⁂ ამ დღეებში ტფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა სანიტარი სასანიტარო კომისიის «მოსკოვის ნომრების» უსუფთაობის შესახებ. მოსამართლემ სასტუმროს პატრონი ხუნდაძე დამნაშავედ იცნო და გარდაუწყვიტა პოლიციისთან ორის კვირით დაპატიმრება.

⁂ ტფილისის «კრუჟოკის» მამასახლისთა საბჭომ 35 მანეთით დააჯარიმა „კრუჟოკის“ ბუფეტის მოიჯარადრე და ამასთანავე დაადგინა, დაითხოვოს და იმის ნაცვლად სხვა მოიწვიოს.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა გუბერნატორს, რომ საპიორის ქუჩა ანტისანიტარულ მდგომარეობაშია და, თუმცა არა ერთხელ ვთხოვე კავკასიის პირველ საპიორთა ბატალიონის უფროსს, რომ მოეხდინა საჭირო განკარგულება და გაესუფთავებინა ხსენებული ქუჩა, რომლის გაწმენდა-გასუფთავებაც საპიორთა ბატალიონის ჯარის-კაცთა მოვალეობაა, მაინც ისე უყურადღებოდაა მიტოვებული. ამის გამო პოლიცმეისტერი სთხოვს ბ-ნს გუბერნატორს, აიძულოთ ამ ბატალიონის უფროსი, გასწმინდოს საპიორის ქუჩა, რომ ხოლერის გაჩენას ამ უსუფთაობამ ხელი არ შეუწყოს.

საქართველოს ამბები

«ცნობის ფურცელი» გადმოგვცემს, რომ პიატიგორსკელ ვაჭარს ალექსანდროვს, ინჟენერ ბარონ ფონ-დერ-როოპს, აზნ. გერმანს და შტაბ-კაპიტანს კრიჟანოვსკის აზრადა აქვთ რკინის გზა გაიყვანონ ქუთაისიდან როკალის მთამდე. ეხლა ამათ უკვე მიუღიათ ნება-რთვა და შეუდგნენ იმ ადგილების კვლევა-ძიებას, სადაც რკინის გზამ უნდა გაიაროს. მომავალი რკინის გზა ქუთაისიდან რიონს აჰყვება ალპანამდე (ლეჩხუმი), სადაც ლაჯანურის ხეობაში შეუხვევს და ლაშხეთამდე მივა.

◆ 9 ოკდობერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის 1-ლ განყოფილების სესსია განიხილავს ახალციხის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელის ვას. ხაბელაშვილის საქმეს, რომელსაც ჰბრალდება 1899 წლ. 19 იანვარს ბორჯომიდგან ახალციხეს მიმავალ ფოსტიდგან 2,000 მან. მოპარვა. ვას. ხაბელაშვილი ამ ფოსტას თვითონ მიჰყვებოდა დარაჯად. ამ საქმის გამო მოწმეებად დაბარებულია 44 კაცი.

◆ ბორჩალოს მაზრიდგან ოსმალეთში გარდახვეწილთ მილიციის პრაპორშჩიკს ალალარ-ასტან-ოღლი ყასუმოვს, შამილოსმან-ოღლისა და გუმბრის მცხოვრებს გაშიდ-ისმაილ-ოღლის (იგივე მუსა-ოღლი) გაუგიათ თუ არა, რომ უმაღლესის მანიფესტით დანაშაული ეპატიათ, დაბრუნებულან ოსმალეთიდგან და გამოცხადებიან ბორჩალოს მაზრის უფროსს, რომელსაც გამოუცხადეს, მზადა ვართ თავი შევწიროთ სამშობლოსა და მეფესა და ამიტომ გთხოვთ, მომქმედ ჯარში გაგვზავნოთო. ამას გარდა, ასტან-აღა ყასუმოვს უთხოვნია, ნება მომეცით თან წავიყვანო 10 კაცი თათარი, რომელთაც სწყურიანთ იაპონელებთან ომიო და რომ ხაზინას მეტ ბარგად არ გაუხდნენ, თავიანთ საკუთარის ხარჯით მომყვებიანო. (ნოვ. ობოზ.).

◆ როგორც «ცნ. ფურც.»-ი გადმოგვცემს, სოფ. ღვთის-მშობლის (გორის მაზრა) მცხოვრებს სანდრო მაძიშვილს (იგივე ნეთაგურს) ჯავრი სჭირებია თავის მეზობელ ოსის სოფ. ოდეტის მცხოვრებისა და ცეცხლი წაუკიდებია იმის ფარეხისათვის. ცეცხლი მალე გადასულა იქვე ტყეზედ და ხელად 20 დესეტინა მანძილს მოსდებია. ცეცხლს მთელი 4 სოფლის გლეხობა შეჰბრძოლებია და ძლივს ჩაუქვრიათ. ზარალი დიდია.

ჭიათურა. ვის არ მოეხსენება, რომ, რაც ჭიათურას მრეწველობა დაწყებულა, ქურდობა და ცარცვა-გლეჯაც თან დაჰყოლია. ეს სენი ისე გაძლიერებულა და შეჩვევია ხალხი, რომ არა თუ სამარცხვინოთ და უსამართლობათ მიაჩნდათ, პირიქით, აქებდნენ და ადიდებდნენ ისეთ კაცს, ვინც ოსტატი მცარცველი იყო. პატიოსანი კაცი აქ ძალიან ძნელათ იშოვიდა ადგილს, და თუ იშოვიდა, ისევ მალე გაუხდებოდა ადგილი საძებრად. იპარავდა ყველა: ექსპორტიორი, მწონელი, დარაჯ-მეთვალყურე, მუშა და ჩალვადარიც. ერთის სიტყვით, ვინ ვის ჰპარავდა, ანგარიში აღარ იყო. მაგრამ მეტი ზარალი, რასაკვირველია, მშრომელ ხალხს მოსდიოდა. ამას მშრომელ ხალხის ინტერესის დამცველებმაც მიაქციეს ყურადღება და არა ერთხელ აღუნიშნავთ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ, მანამდის არავის მიუქცევია ყურადღება, სანამ თვით მშრომელმა ხალხმა არ გაიღვიძა და არ მოითხოვა მოსპობა ქურდობა-ავაზაკობისა. დღეს მთავრობამ გამოსცა ჭიათურის მრეწველობისათვის სავალდებულო კანონი; ცალკე კაცები არიან დანიშნულნი და ჯერ-ჯერობით კარგადაც ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, თუ, რასაკვირველია, შემდეგისათვის არ უსუსტეს. ამ კანონის ძალით, სასტიკად აკრძალულია სასწორზედ საქონლის როგორც მოპარვა, აგრეთვე «სკიდკის»-ა და სისოვლის წაღება, რომელიც ამდენ ხანს ანახევრებდა საქონლის რაოდენობას. წონის დროს მუშასაც (მეურმე-ჩალვადარს) აქვს წიგნაკები და, როგორც თავის წიგნაკში, აგრეთვე მეურმე-ჩალვადრის წიგნაკშიაც უნდა ჩასწეროს მწონელმა საქონლის რაოდენობა.

შაბათ სალამოს მწონელმა ხელი უნდა მოაწეროს მუშის წიგნაკზედ, რომ მან ნამდვილად ჩაუწერა აწონილ საქონლის რაოდენობა მეურმეს. თუ ვინიცობაა, «ჩვეულებამ რჯულზედ უმტკიცესად» იმოქმედა და მწონელმა კიდევ მოჰპარა მეურმე ჩალვადარს, იმ შემთხვევაში, სანამ ჩალვადარი საპალნეს დასცლიდეს, მეთვალყურე აბრუნებს უკან აწონილ საპალნეს და ხელახლავე აწონიებს მის თვალწინ მწონელს. აქ მწონელი ვეღარ ხმარობს დაწერილის გადაშლით ხრიკებს, რადგან მეორე წიგნაკში ჩალვადარს უწერია პირველ წონის რაოდენობა. ეს, რასაკვირველია, ზოგიერთს უხერხულად მიაჩნიათ, მაგრამ ამასაც შეეჩვევიან; რაც შეეხება სოფლის გამორიცხვას, ეს შეიძლება ექსპორტიორისა და წვრილ მრეწველის მორიგებით. აქ მუშა, ან ჩალვადარი არაფერს არ ჰკარგავს. ასეა თუ ისე, ეს პირველ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს იმ საზიზღარ სენის მოსასპობათ და ჩვენც სიხარულით ვეგებებით ამ ნაბიჯს.

ლადო მოსეშვილი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამ ჟამად რუსეთის მრავალ ქალაქშია აღძრული საგანი, საჭიროა თუ არა, რომ კვირა-დღეობით ნოქრებმა და თვით მოვაჭრეებმაც შეისვენონ? ამ საგანზედ თვით ვაჭრებმა ასტეხეს პირველად ლაპარაკი და ბოლოს, როგორც იყო, დარწმუნდნენ, რომ კვირა-უქმეობით ვაჭრობის შეჩერებას არავითარიმე ზარალი არ მოაქვს. ის მყიდველი, რომელიც კვირას ვერ იყიდის მისთვის საჭირო საქონელს, ორშაბათს ან სხვა დროს განა სულ თავს დაანებებს ყიდვას, არ იყიდის? რასაკვირველია, თუ დღეს ვერ ვიყიდი იმის გამო, რომ მაღაზია დაკეტილია, ხვალ ღია იქნება და მაშინ ვიყიდი. ან, როცა მეცოდინება, რომ ხვალ უქმეა, თუ რამე მესაჭიროვება, დღეს ვიყიდი. მორჩა და გათავდა! ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში, სრულიად რუსეთის საბირჟო კომიტეტთა წარმომადგენლების კრებაზედ წევრთა უმრავლესობამ, უფრო მდიდრებმა და კაპიტალისტებმა, ერთხმად გამოსთქვეს «სურვილი», კარგი იქნება, კანონდებლობის წესით ამ საგანს, რაც შეიძლება, მალე გარდასწყვეტდნენო. ამის გამო «ბირჟ. ვედ.»-ი შეჰნიშნავს:

> უოველი მიწის მუშა, უოველი მწარმოებელი, ხელოსანი (კანონის ძალით), კანცელარიის მოხელენი და კანტორის გამგენი ისვენებენ მეშვიდე დღეს. ნეტა ნოქრებმა და მოვაჭრეებმა ვის რა შავი კატა მოჰპარეს, რომ იმათთვის არ არსებობს მეშვიდე დღე შესასვენებლად? მაგრამ რა მარტო ისინი, ჩვენც, გაზეთის მუშაკნიც, ამ დღეში არა ვართ?!

ამ საგნის გამო «ბირჟ. ვედ.»-ში ვკითხულობთ საყურადღებო ამბავს:

> სარატოვში თვით ვაჭრებმა განიზრახეს, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად, კვირა-დღეობით ვაჭრობის შეწყვეტა, ერთმანეთს ხელი მოუწერეს ქაღალდზედ და ადგენენ მოხსენებას მთავრობასთან წარსადგენად, რათა გამოეცეს კანონი კვირაობით ვაჭრობის მოსპობის შესახებ. პირველად, რასაკვირველია, ქალაქის გამგეობას წარუდგენენ ამ მოხსენებას და სთხოვენ, ქალაქის საბჭომ დაადგინოს შუამდგომლობის აღძრვა მთავრობის წინაშე ვაჭრობის თაობაზედ კანონის გამოსაცემად.

ჩვენი ვაჭრები ყურსაც არ ათხოვებენ ნოქართა საჭიროებას და არც თავიანთთვის ზრუნავენ. მათთვის კვირა, უქმე და საქმის დღე—სულ ერთია: შიშობენ, კვირას რომ არ ვივაჭროთ, გავკოტრდებითო. იმდენად ბედნიერნი რომ ვიყვნეთ და იმდენად უნაკლულონი, რომ ჩვენ, მყიდველნი, არაფერს ვიყიდდეთ კვირაუქმეობით, მაშინ კი იკადრებდნენ კვირაობით შესვენებას და ნოქრებიც ცოტათი თავისუფლად ამოისუნთქავდნენ, მაგრამ ამას ჩვენ ვერ მოვახერხებთ და, იმედია, არც ვაჭრები შეიწუხებენ თავს!

ასეთსავე მდგომარეობაშია გაზეთის მუშაკნიც, როგორც თანამშრომელნი, ისე «ტყვიის რაზმი», ანუ ასოთ-ამწყობნიც. წელიწადში 365 დღე და ღამეა და ზოგიერთ გაზეთებზედ მხოლოდ 10 დღეა წელიწადში უქმე, დანარჩენი დღე-ღამეები კი თავჩაქინდრულნი უნდა იმუშაონ!..

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 აგვისტო.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე 27 აგვისტოს თარიღით: „26 და 27 აგვისტოს ბრძოლა არ მომხდარა. მტერს აქტიური მოქმედება არ დაუწყვია. დიდი წვიმები მოდის, ამიტომ გზები ვერ შევასწორეთ. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“.

ლხასსი. პირშეკრულობაზე ხელის მოწერის შემდეგ პოლკოვნიკმა იონგხეზბანდმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ის აზრი აღნიშა, რომ ინგლისის მთავრობა თიბეტის სარწმუნოებასა და შინაგან საქმეებში არ გაერევა, მხოლოდ მსურს დამყარდეს ვაჭრობითი ურთიერთობა და ღირსეულად მოეპყრნან დიდი ბრიტანიის წარმომადგენლებს და მისს ქვეშევრდომთა. იმედი მაქვს, მშვიდობა დიდის ხნობით დამყარდება, მაგრამ პირშეკრულობის დარღვევა სასტიკ სასჯელს გამოიწვევს. შემდეგ იონგხეზბანდმა ტყვეთა განთავისუფლება ითხოვა.

ლონდონი. რავდენადაც ვიცით ინგლისელებმა თიბეტს შემდეგი პირობანი დაუდეს: ექსპეტიციას ხარჯი უზღონ, ბოდიში მოიხადონ დიდი ბრიტანიის წარმომადგენელთა შეურაცყოფისათვის და შეიარაღებული წინააღმდეგობისათვის, გააადვილდეს ვაჭრობის საქმე ინდიასა და თიბეთის შორის და თიბეტში საზღვრებზე ინგლისის ბოძები დაისხას.

ლონდონი. ლხასსიდან დეპეშით იუწყებიან, როგორც ვგონია, დალაი-ლამა ვერ დაბრუნდება; სამოქალაქო მოხელეობა გადაეცემა რეგენტსა, ხოლო შიგაცელი ტაშინ-ლამა, უეჭველია, სასულიერო წოდების უფროსად იქნება აღიარებული. ინგლისის ექსპედიცია უკან დაბრუნდება 3 ოკდომბრისას. მშვიდობიანობის პირობამ გამოიწვია ინგლისში დიდი სიამოვნება. ელიან, რომ ეხლაკი ინგლისი ფაქტიურს პროტექტორატს დაამყარებს თიბეტზეო.

კრონშტადტი, ციხის ჯარების ხმელეთის ნაწილმა შორეულ აღმოსავლეთს წამსვლელ ესკადრის კონტრ-ადმირალ როჟდესტვენსკის მიართვეს ადრესი და ხატი ვლადიმერის ღვთის მშობლისა.

ლონდონი, 28 აგვისტო. იაპონიის მარცხენა ლაშქარში მყოფი კორესპონდენტი გაზეთ «ტაიმსისა» ფიქრობს, კუროპატკინი წავა იქით, სადაც იმას მაშველი ჯარები მოსდის და უეჭველია დაიჭერს პოზიციებს ხარბინისაკენ მიმავალ გზებზე. იაპონიის ლაშქარი, იმ შემთხვევაში, თუ მუკდენს მივა, რავდენისამე ხანს დაისვენებს 14 დღის საშინელის ბრძოლის შემდეგ.

ციინდაო, 28 აგვისტო. (რეიტერი). ერთმა იაპონელმა აფიცერმა გზად გავლის დროს ტოკიოში სთქვა, პორტ-არტურთან ამ დროს იაპონელთა ზარალი ძრიელ დიდი იყოო, 15 ათასს კაცზე მეტი დააკლდათო. ლიაოინთან მოკლულ და დაჭრილ იაპონელთა რიცხვი 20 ათას კაცს აღემატებაო.

ჩიფუ, 28 აგვისტო. (რეიტერი). აქ მოვიდა დალნიდან გუშინ წამოსული იაპონელი. ის ლაპარაკობს, როგორც ამბობენო, უმთავრესი იერიში პორტ-არტურისა, რომელიც დღეს უნდა ყოფილიყო, 31 აგვისტომდე გადასდესო, და იქნება, კიდევაც სხვა დროსთვის გადასდონო.

შანჰაი. 28 აგვისტო (რეიტერი). «ასკოლდი» გამოვიდა დოკიდან და გვერდში ამოუდგა „მანჯურიას“ და «გროზოვოის». მეზღვაურნი გემზე დარჩებიან ტამოჟნის საკანონერო ნავის ზედამხედველობის ქვეშ.

ლონდონი. (ბერლინით). ჩიფუდან დეპეშით იუწყებიან, პროჟექტორების შემწეობით აღმოაჩინეს იაპონიის ნაღმოსანთა ფლოტილია. მისდევდნენ იმ გემს, რომელმაც ნაღმები ააფეთქა. ნაპირის ბატარეის ყუმბარებმა გემი დააზიანეს და ჩაიძირა. 25 აგვისტომდე იაპონელებს დააკლდათ 29,600 კაცი.

ლონდონი. (რეიტერი). რუსთა ტაქტიკის შესახებ „ტაიმსის“ კორესპონდენტი ამბობს: უმთავრესი შეცდომა რუსებისა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ბევრ ხალხს აგროვებენ საგერ პოზიციებზე; იაპონელთა ტაქტიკას ერთად-ერთს პრინციპს კი შეადგენს, როგორც ეს გვაჩვენა ოქუს უფროსობაში მყოფმა დივიზიების მოქმედებამ, გაბედული საფრონტო იერიშები. მე დარწმუნებული ვარ, მთელს ქვეყნიერებაზე იმისთანა ქვეითა ჯარს არავინ უფროსობს, როგორც ოქუო. არა ვფიქრობ, სხვა რომელმამე ლაშქარმა ხუთის დღის განმავლობაში მწყობრად რვაჯერ მიიტანოს იერიში სიმაგრეების წინააღმდეგ, ვერ გაიმარჯოს და მაინც კი არ დაჰკარგოს სიმხნევე.

ბერნი. გამოძიება ილნიცკის შესახებ, რომელმაც რუსის ელჩის ჟადოვსკის მოკვლა განიზრახა, დასრულდა და წარედგინება შვეიცარიის სასამართლოს.

ფილიპპოპოლი. სტამბოლის სარწმუნო წყაროებიდან მოვიდა ამბავი, რომ ბითლისის, ვანის და არზრუმის ვილაიეტებში დიდი უწესოება დაიწყო, რომელიც გამოიწვიეს სომეხთა რევოლიციონერებმა. კონსულები თხოულობენ დაუყოვნებლივ დაამშვიდონ, მხოლოდ ძალდაუტანებლივ.

29 აგვისტო.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: «საჭიროდ მივიჩნიეთ საომარ ფეხზე დასდგეს გასაძლიერებლად ჩვენის ჯარებისა შორეულ აღმოსავლეთში ჯარები ადესის სამხედრო ოლქისა, ამიტომ ჩვენ ვუბრძანეთ სამხედრო მინისტრს მოახდინოს საჭირო განკარგულებანი. ამასთანავე ვბრძანებთ: 1) მოწვეულ იქმნან ჯარის კაცნი ოდესის სამხედრო ოლქისა, ხერსონისა, ბესარაბიისა და ტავრიდის გუბერნიებიდან; 2., ჯარის-კაცთა გარდა გამოწვეულ იქმნენ იმავე გუბერნიებიდან ცხენებიც. 3., გამოწვეულ იქმნენ აგრედვე სათადარიგო ჯარში ჩარიცხულნი აფიცრები. უმართებულესმა სენატმა მოახდინოს საჭირო განკარგულებანი. ნამდვილზედ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილს არს: «ნიკოლოოზ». პეტერგოფი, 24 აგვისტო 1904 წ.

პეტერბურგი. 29 აგვისტოს წავიდა საზღვარ გარედ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის-ძე.

ჩიფუ, 28 აგვისტო. ამ ბოლოს ჟამს ბრძოლის დროს პორტ-არტურთან იაპონელებმა აიღეს ოთხი ფორტი, მაგრამ ისევ მალე დასცალეს. რუსებმა კვლავ დასდგეს იმ ფორტზე ზარბაზნები და ემზადებიან მოიგერიონ იერიში.

ტოკიო, 29 აგვისტოს. (რეიტერი). როგორც მთავარი ექიმი იაპონელთა სამის ლაშქრისა ანგარიშობს ლიაოიანთან ბრძოლის დროს 13 აგვისტოდან მოიკლა და დაიჭრა 17,539 კაცი, აქედან კუროკის ლაშქრიდგან 4865, ნოძუს—4992 და ოქუს 7681. მოკლეს 196 და დაიჭრა 464 აფიცერი.

სტამბოლი. 29 აგვისტო. სმირნაში შენიშნეს ორი ავადმყოფი ჭირითა. ამიტომ გამვლელ-გამომვლელს გასინჯავენ.

რომი 29 აგვისტო. იტალიის სამხედრო გემზე «მარკო პოლოზე, რომელიც ჩემულპოში იდგა, აფეთქება მოხდა. გაზმა სამიკაცი მოსწამლა და დაიხოცნენ; 17 კი მორჩნენ.

კარკარალი, 28 აგვისტო. დიდი ქარის დროს ქალაქის მესამედი მეტი გადიწვა. ზარალი საგრძნობელია.

ვენა 29 აგვისტო. პრინცი გეორგი საბერძნეთისა პეტერბურგს წავიდა.

კატო. რა ფაქტი?

ლუარსაბ. ის ფაქტი, ჩემო კარგო, რომ თქვენი ნესტან-დარეჯანი ვიღაც ტარიელის გავლენას ექვემდებარება. მე ეჭვი მაქვს მენაბდიშვილზე და, ვგონებ, არცა ვცდები.

კატო. როგორ? წამოსცდა რამე თუ?

ლუარსაბ. იმდენი არაფერი, მაგრამ როცა ის გაიძვერა ვახსენე, შეკრთა ცოტათი და თვალი მომარიდა. მაშ, დღეს ან ხვალ მოვახდენ «გენერალურ სმოტრს» და ვნახოთ, რითი გათავდება ეს საქმე; ყოველ შემთხვევაში გააფრთხილე ირაკლი თავის დაის ყარაულები დაუყენოს, თორემ, ვინ იცის, რას არ მოახდენს. (გადის აივანზე)!

გამოსვლა მერვე.

(შემოდის იქიდამკე ირაკლი დაღვრემილი და ლუარსაბს შეეფეთება აივანზედ, ლუარსაბი მოჰკიდებს ხელს, ცოტა უკან გაიხმობს და რაღაცას ელაპარაკება. იმათ შეუერთდება კატოც, და სამივენი რაღასაც გაცხარებით ბაასობენ, რასაკ იმათი ქესტიკულიაცი ამტკიცებს. რაც დრო მიდის, ირაკლი უფრო ბრაზდება, ბოლოს კატო ეტყვის რაღაცას, და შეკრთება ოდნავ, ხელით ანიშნებს ორივეს, ძირს ჩადითო, ისინი გადიან, ირაკლი შემოდის).

ირაკლი. (შემოვა თუ არა, გაადებს მარჯვნივ განის კარებს და იძახის): ტასო! კნიაჟნა ტასო! მე ვარ ირაკლი, ცოტა ხნით გამოდი. (გამობრუნდება).

გამოსვლა მეცხრე.

ტასო. (შემოდის ტასო, ხელში მუაზედ გადაკეცილი მოზრდილი უდო წიგნი უჭირავს. ცივად). რა გინდა ჩემგან?

ირაკლი. მე მინდა გკითხო, თუ რა გემართება წელს და ნამეტნავად ამ ბოლო ხანებში? ჩვენის დაქცევის წინამორბედო, რად ახარებ ჩვენს მოსისხლე მტრებს და რად შეურაცხჰყოფ ამ დიდებულ მამის სახელს?

ტასო. მე არა ვარ ვალდებული, ანგარიში ჩაგაბარო.

ირაკლი. როგორ... არა ხარ ვალდებული, უფროსსა და პირმშო ძმას ანგარიში ჩააბარო?

ტასო. (გამწარებული). მე ძმა არა მყავს. ის მოკვდა, როგორც ადამიანი, როგორც მოქალაქე. მოკვდა. მომიკვდა მე ჩემი სათაყვანებელი ირაკლი, შერცხვენილი, თავლაფ-დასხმული, სამარცხვინო ბოძზედ გაკრული. (დაეცემა ტახტზედ და მწარედ ქვითინებს. ირაკლი ამ უკანასკნელ დიალოგის დროს დიდ სულიერ ბრძოლას იტანს, კანკალით მივა აივნის კარებთან, როცა ტასო დავარდება ტახტზედა, მოიხედავს აღშფოთებული, ამ დროს გამოჩნდება კატო, ერთს ზიზღით გადახედავს მუხლს, მერე მოხვევს ირაკლის ხელებს, აკოცებს, გულზედ მიიხუტებს და გაჰყავს მარცხნივ განის კარებში).

ტრ. რამიშვილი.

(ფარდა დაეშვება).

30 აგვისტოს.

პეტერბურგი. დეპეშა გენ.-ლეიტ. სახაროვისა 29 აგვისტოს თარიღით: გამოირკვა, რომ რკინის გზის შტოს ჩრდილოეთად, რომელიც მიდის ქვა ნახშირის მადნებისკენ, იაპონელთა დიდი ჯარები არა სჩანს. სამხრეთად-კი ლიაოიანისკენ მოსჩანს დიდი და რიცხვ-მრავალი ბანაკი იაპონელთა ჯარისა.

ხარბინი. (საკ. კორ.). ყოველ-დღე მოდის სამხრეთიდან მატარებლები დაჭრილებით. რუსნი წესიერად და განუწყვეტლივ სტოვებენ მუკდენის სამხრეთ მიდამოებს და მიდიან ჩრდილოეთისაკენ. მძიმედ დაჭრილნიც კი მხნედ არიან და სულის აღფრთოვანებას გრძნობენ. ბევრნი ნდომობენ. შესაძლო იქმნება თუ არა, დაბრუნდნენ ჯარში. ბრძოლის ველიდან ახალი ცნობა არა მოსულა რა. როგორც ეტყობა, მოპირდაპირეთა ჯარები სცდილობენ თავი მოიყარონ და შეეთვისონ იმ ახალ გარდობას, რომელიც ომმა გააჩინა ამ ბოლოს დროს. უკანასკნელნი ცნობანი პორტ-არტურიდან დამოუკიდებელის ხასიათისაა.

ტოკიო, 29 აგვ. (რეიტ.). ოიამა მოახსენებს თავის მთავრობას, რომ კუროკი 22 დ 23 აგვისტოს მიიწევდა ჩრდილო-დასავლეთად და აიძულა რუსნი დაეწიათ მუკდენისაკენ. კუროკი იუწყება, 23 აგვისტოს ბრძოლის გათავებისას რუსებმა წაიყვანეს მუკდენს 10,000 დაჭრილი და მოუარეს დახოცილთა უმეტეს ნაწილს. 3000 კაცის გვამი-კი მაინც დასტოვეს ლიაოიანთან; უკან დაწევისას რუსებმა მოახერხეს და თან წაიღეს ზარბაზნები და სურსათი. თხრილებში ვიპოვნეთ რამდენიმე პოვოზკა. იაპონელთა ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი, მაგრამ ძრიელ დიდი-კია. 22 აგვისტოს 10 საათზედ კუროკის ჯარის შუა-გულმა მიიტანა იერიში რუსეთის ძრიელს ჯარზედ დალიანკოუსთან, იანტაის აღმოსავლეთად. მედგარის ბრძოლის შემდეგ რომელმაც მთელი ღამე გასტანა, იაპონელებმა აიძულეს რუსნი დაეწიათ ჩრდილოეთისაკენ. იაპონიის ჯარის მარცხენა ფრთა აწვებოდა რუსებს დასავლეთისაკენ და დაიჭირა ადგილები შალ-ხედან პანსიაძემდე ჩრდილო დასავლეთისაკენ. რუსთა ავანგარდს უჭირავს თხრილებით გამაგრებული ადგილები ტანსიაგოადან აღმოსავლეთად.

კანლიბაო. 22 აგვისტოს არტილერია ესროდა ზარბაზნეს ლტოლვილ რუსებს, ხოლო მარჯვენა ფრთა მიისწრაფოდა ჩრდილო დასვლეთად იმ ადგილისკენ, რომელიც 25 მილზეა მუკდენიდამ. რუსები განაგრძობდენ უკან დახევას მუკდენისკენ ცხენოსანი ჯარი ბოლოს მიდიოდა და სწვამდა ხიდებს შახეზე: მთა ვართ ბანაკი იაპონიის ჯარისა მოახსენებს მთავრობას, რომ დავიჭირეთ იანტაის ქვა-ნახშირის მადნებიო. დაწვრილებით არის მოხსენებაში აწერილი. როგორ იყო დარაზმული ჯარი რუსთა ლიაოიანთან.

ტიანძინი, 29 აგვისტო. (რეიტერი). ისმის ხმები, რომ ჩინეთის ჯარები მანჯურიისაკენ მიდიან დიდ ზღუდეთა იმიერ მხარესაკენაო ჩინეთის ზოგიერთს ჯარები უკვე დაუჭერიათ ლიაოხეს ორივე ნაპირიო. ამტკიცებენ, რომ ამ ჯარების დანიშნულებაა დაიჭირონ ის მიწა-წყალი, რომელიც იაპონელებმა აიღეს ბრძოლითაო. ჩინელთა ჯარის რაოდენობის მიხვედრა ძნელია.

ლონდონი, 30 აგვისტოს (რეიტერი). «დეილი ტელეგრაფის» კორესპონდენტი, რომელიც იაპონელთა მარცხენა ჯარშია, იუწყება 26 აგვისტოდან, რომ იაპონელებს განზრახვა აქვთ აიღონ მუკდენი სამის კვირის შემდეგ და ახლა გზაში არიანო. წინ-წინ მოიწევს სახელდახელოდ გაკეთებულ ვიწრო-ლიანდაგიან რკინის გზითაო. ოიამამ უბრძანა კუროკის დაბინავდეს იმ ბანაკში, რომელიც ლიაოიანიდან ჩრდილო-აღმოსავლეთად არის ამ ჟამად 5 მილის მანძილზედ. რადგან კუროკი მთიან ადგილებიდან ვერ გამოვიდა და ვერ დაიჭირა რკინის-გზა ხელში, ამიტომ კუროპატკინს შეძლება მიეცა უკან დაწევისა. 24 საათის განმავლობაში დიდს გაჭირვებაში იყო ჯარები იაპონელებისაცა და რუსებისაცა. მხოლოდ ოქუს ლაშქრის შესანიშნავმა იერიშებმა დაიხსნა იაპონელები განსაცდელისაგან. იერიში იერიშს მისდევდა ზედიზედ, რათა გადარჩენილიყო, ხიფათს მთელი ლაშქარი კუროკისა. რუსნი იმ დაწყობილობა-დარაზმულობით, რომელიც დღესა აქვთ, ვერ წინააღუდგებიან იაპონელებს ვერც მთაში და ვერც ბარად. ბოლოს ლაშქარნი ოქუსი, ნოძუსი და კუროკისა შეერთდნენ იმ აზრით, რომ დასავლეთიდან მოუარონ მუკდენს. მანჯურიის ომი წელს დამთავრდება მუკდენის აღებით.

ლონდონი. (რეიტერი). «დეილი მეილის» ცნობით, რომელიც მიუღია ტანჟერიდან, სპარტელის კონცხის გასწვრივ დაუნახავთ რუსთა კრეისერი.—„დეილი ტელეგრაფი» სასტიკად ჰკიცხავს იაპონიის მთავრობის საქციელს უცხოეთის აგენტებისა და კორესპოდენტების მთავარი ამბობს, რომ იაპონელები დიდს პოლიტიკურს შეცდომაში არიანო. ინგლისის წარმომადგენელთა შესახებ იაპონელებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მხოლოდ მოკავშირე ინგლისის ფლოტის ძლიერებამ შეუშალა ხელი იაპონიის ფლოტის ზღვაზედ ბატონობის მოსპობას კოალიციის შემწეობითაო.—გულ-წრფელი თანაგრძნობა დასავლეთისა იაპონიის მხრივ ხელ-შეუწყობელი რჩება, რადგან მეტად გულ-მინდობილნი არიან, იგივე გაზეთი კრიტიკის თვალით განიხილავს იაპონელთა სტრატეგიას და ამბობს, რომ ლიაოიანის ბრძოლამ სრულიადაც ვერ დასცა სასიკვდილო მახვილი რუსეთის ძლიერებასაო.

დროებით რედაქტორი **ზრ. ჭიჭინაძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
ამ წლის 18 აპრილიდან.
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.) 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) წრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ, № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 საღამოს 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.).

განცხადებანი

ქვირილის თეატრის ამხანაგობის გამგეობა აცხადებს, რომ დაიკარგა პაიები ამ ამხანაგობისა, შემდეგი №№:
403, 439, 440, 460, 457, 417, 468, 452, 459, 407, 410, 451, 450, 449, 447, 448, 458, 454, 456, 423, 418, 421, 437, 432, 431, 430, 425, 424, 469, 473, 493, 494, 495, 496, 497, 498, 499, 500, 455, 452, 419, 404, 405 და 475.

მნახველთ ვთხოვთ წარმოადგინონ პაიები ათის დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პაიები გაბათილებული იქნება.

(3—2)

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т—во Высшей
парфюмеріи
А. Ралле и К°
„Земляничное
Молоко“

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდონბრინი“ მ. კ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0—6—12)



როიალები პიანინო

ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.
ბ. მ. მირიმანიანისა.
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНЦАНЪ
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—13)

ოდესელი ოსტატი
იღებს ხვადასხვა სატოკრო საქმეს.

ამზადებს ჩოხის საუკეთესო მასრებს სპილოს ძვლისაგან იაფად, აგრეთვე იღებს შესაკეთებლად და პირის გადასაკვრელად ქოლგებს. ოქრომჭედლების რიგი, სახლი გერმანისა, № 25.

ოსტატი ივანე იანთაშვილი.

Одесскій токарный
МАСТЕРЪ
принимаетъ разные токарные заказы
Приготовляетъ всѣ наилучшіе газири изъ слоновой кости.
Починяетъ и покрываетъ зонтики
Серебряный рядъ, № 25, домъ Германа.
(6—4). *Иванъ Янташвили.*

ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიას, საზოგადო სავაჭროს და ბანკისას, კომერციულ არითმეტიკას, ფინანსიურ გამოანგარიშებას, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციას, ვაჭრობის ისტორიას, ვაჭრობის უფლებას და ვექსილის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირა-უქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(14—266—11). ალ. გ. საათაშვილი.

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდევით,** მარტო 4 მან. 90 კაპ., საუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„ენდოლიანსი“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაღებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

განსაკუთრებითი ნაწარმოებია.

(5—6—)

მსწრაფლ მბეჭდავი
სტამბა
ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებულიყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.

Дозволено цензурою Тифлисъ 30 августа 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи